



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 8/28

2023 წლის 28 ივნისი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულების №1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (გარდა: ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“, ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციისა“ და ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის“) მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

N	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო ზედა ზღვარი (ლარებში)
1	დირექტორი	3080-00
2	დირექტორის მოადგილე	2420-00
3	სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის/განყოფილების) ხელმძღვანელი/უფროსი	1760-00
4	მთავარი ბუღალტერი	1430-00
5	ბუღალტერი	1320-00
6	უფროსი სპეციალისტი	1210-00
7	სპეციალისტი	990-00
8	საწყობის უფროსი	1540-00
9	ეკონომისტი	1320-00
10	უსაფრთხოების ინსპექტორი	1375-00
11	იურისტი	1100-00
12	კურიერი	440-00
13	აგრონომი	900-00
14	ელექტრიკოსი	880-00
15	მუშა	880-00
16	მუშა-მთიბავი	1100-00
17	ავტომობილის მექანიკოსი	1375-00

18	დამგველი	605-00
19	მეეზოვე	880-00
20	წყალკანალიზატორი	1100-00
21	მძლოლი	1100-00
22	ტრაქტორისტი	1700-00
23	ეკოლოგი	880-00
24	შემდუღებელი	1100-00
25	დარაჯი	550-00
26	დამლაგებელი	825-00
27	მრეცხავი	550-00
28	ცხოველების დამჭერი	1100-00
29	სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობის მორიგე	385-00
30	ექიმი (სპეციალისტი)	800-00
31	ექთანი (სპეციალისტი)	650-00
32	მზარეული	900-00
33	მზარეულის თანაშემწე	650-00

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეზურავა